

სოფლის მოსახლეობისათვის ამბულატორიული მომსახურების მიწოდების
უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

1. სოფლის მოსახლეობისათვის ამბულატორიული მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ფიზიკური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უზრუნველყოს:

ა) იმ პირების განსაზღვრა, რომელთა მიერ მეწარმე ფიზიკურ პირებად რეგისტრაციის შემთხვევაში განხორციელდება სოფლის მოსახლეობისათვის ამბულატორიული მომსახურების მიწოდება;

ბ) იმ პირების განსაზღვრა, რომლებიც იმყოფებიან ან შემდგომ ეტაპზე ჩაერთვებიან ექიმების საოჯახო მედიცინასა და ექთნების ზოგადი პრაქტიკის ექთნებად გადამზადების პროცესში და რომელთა მიერ მეწარმე ფიზიკურ პირებად რეგისტრაციის შემთხვევაში განხორციელდება სოფლის მოსახლეობისათვის ამბულატორიული მომსახურების მიწოდება, გარდა ამ პუნქტის "გ" ქვეპუნქტში მითითებული პერიოდისა;

გ) იმ პირების განსაზღვრა, რომელთა მიერ მეწარმე ფიზიკურ პირებად რეგისტრაციის შემთხვევაში და ამ პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაზღვრული პირების წერილობითი განცხადების საფუძველზე, მათი გადამზადების პერიოდში განხორციელდება/ხორციელდება სოფლის მოსახლეობისათვის ამბულატორიული მომსახურების მიწოდება;

დ) იმ პირების განსაზღვრა, რომელთა მიერ მეწარმე ფიზიკურ პირებად რეგისტრაციის შემთხვევაში განხორციელდება/ხორციელდება სოფლის მოსახლეობისათვის ამბულატორიული მომსახურების მიწოდება ამ პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირთა წერილობითი განცხადების საფუძველზე მათი ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლისას ან დროებითი შრომისუნარობის ფურცელზე ყოფნის პერიოდში.

2. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტის გათვალისწინებით, "საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული "პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის" "ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი სოფლად" (ორგანიზაციული კოდი - 35 11 02 13 01) დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში ამ კომპონენტის შემსყიდველის მიერ ამ კომპონენტით განსაზღვრული სოფლის მოსახლეობისათვის

ამბულატორიული მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

3. განკარგულება ძალაშია 2010 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ნიკა გილაური